



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 114

ქ. გარდაბანი

30/11/2022

114-06-4-202211301517



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილების, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 ოქტომბრის N18-182230155 წერილისა და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 25 ოქტომბრის N848 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გურამი თუშიშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1500 (ათას ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - გიორგი შინჯიკაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

გურამი თუშიშვილი - 1500 (ათას ხუთასი) ლარი, პ/ნ

გიორგი შინჯიკაშვილი – 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი, პ/ნ

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

